ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4736485

ნომერი: AR1712804

თარიღი : 24.10.2019

გაცემის თარიღი : 06.11.2019

გაცნობის თარიღი : 06.11.2019

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ნინოშვილი , N 69 , (ნაკვეთი N3/22);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო სიხარულიძე პ/ნ 01024061469
- საქართველო, ქალაქი თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი, N 33ა

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- III კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- საცხოვრებელი ობიექტები
  - მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1663.0

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი განაცხადის

ველში.

გადაწყვეტილება

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2019 წლის 24 ოქტომბრის AR1712804 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ.თბილისში, ნინოშვილის ქ.N69 (ნაკვ. N3/22) - ში (საკადასტრო კოდი: N01.16.01.003.022) არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქციის მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცებას.
პასუხად გაცნობებთ, რომ ქ.თბილისში, ნინოშვილის ქ.N69 - ში (საკადასტრო კოდი: N01.16.01.003.022) არსებულ მიწის ნაკვეთზე ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2016 წლის 16 აგვისტოს №2781264 ბრძანებით დამტკიცებულია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. ასევე, ამავე საკადასტრო ერთეულზე 2017 წლის 6 იანვრის №3035563, 5 იანვრის №3015053 და 2016 წლის 22 დეკემბრის №301140 ბრძანებებით გაცემულია მშენებლობის ნებართვები.
ვინაიდან N01.16.01.003.022 საკადასტრო ერთეულზე 2016 წლის 16 აგვისტოს №2781264 ბრძანებით დადგენილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები და დღეის მდგომარეობით საკადასტრო რუკაზე ფიქსირდება მშენებარე შენობა-ნაგებობები, სამსახური ამ ეტაპზე მოკლებულია შესაძლებლობას წინამდებარე ნომეკლატურით იმსჯელოს ქ.თბილისში, ნინოშვილის ქ.N69 (ნაკვ.N3/22) - ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქციის მიზნით მიწის ნაკვეთის სმაშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის თაობაზე.
სამსახური საკითხის განხილვას დაუბრუნდება საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამის ნომენკლატურაში ატვირთვის შემდგომ.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.